№1425 2015 წლის 6 ივლისი ქ. თბილისი

2015 წლის განმავლობაში, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, სარგებლობაში გადაცემაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით, სახელმწიფო ქონება - მრავალტომეულის, ენციკლოპედიის „საქართველო“, მე-3 ტომის 200 (ორასი) ეგზემპლარი მათი არსებობის ვადით, უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადასცეს ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**